გამოცემის 103-ე წელი

აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№68 (25.092) ხუთშაბათი, 29 - 30 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 755 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ძლიერი წვიმა ელჭექით.

კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელ დევიდ ო'სალივანს და სანქციების საკითხებში აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებს ჯეიმს ო'ბრაიენს და კუმარ იერს შეხვდა. ყურადღება გამახვილდა სანქციებთან მიმართებაში საქართველოს მუდმივ კოორდინაციაზე ევროკავშირსა და საერთაშორისო თანამეგობრობასთან. ხაზი გაესვა სანქციებისთვის თავის არიდების პრევენციის მიზნით საქართველოს ეფექტურ მუშაობას. აღინიშნა, რომ საქართველოს ძალისხმევა პოზიტიურად ფასდება საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

* * *

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს სასწავლებლებში ადმინისტრაციული თანამდებობის პირების არჩევა-დანიშვნის მიმართულებით არსებული ასაკობრივი შეზღუდვა უქმდება. ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეფუძნება, რომლითაც ძალადაკარგულადაა ცნობილი „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მუხლი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნას 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც 65 წელს მიაღწია, აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლდება არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

* * *

ოთხი უფლებადამცველი ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს, რომ 2 ივნისს პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე დაკავებული 7 პირის მიმართ დაკისრებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გაუქმდეს. "მშვიდობიანად ქაღალდის ბანერების ხელში ჭერისთვის აქტივისტების დაკავება და პასუხისგებაში მიცემა არღვევს მათი გამოხატვისა და შეკრების უფლებას", - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

პრეზიდენტის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილ დიმიტრი ჯაფარიძისა და გიორგი ბაქრაძის კანდიდატურებს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. კენჭისყრის დროს გიორგი ბაქრაძეს მხარი დაუჭირა 5-მა დეპუტატმა (წინააღმდეგი - 3), დიმიტრი ჯაფარიძის კანდიდატურასაც 5-მა დეპუტატმა მისცა ხმა (წინააღმდეგი - არცერთი).

მოამზადა
ია შველიძემ

ჩვეული ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება – საკრებულოს სხდომაზე

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმის საკრებულოში გამართულ მორიგ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 14 საკითხიდან 13-ზე გადაწყვეტილება მიიღეს, ერთი კი, დამატებითი შესწავლის მიზნით, დღის წესრიგიდან ამოიღეს. გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება „ქართული ოცნებისა" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს შორის, რაც ოპოზიციის კითხვებს მოჰყვა

კამათი იყო რუსულენოვანი კაფე-ბარებისა და სალონების გახსნის გამოც. ასევე, ოპოზიციის წევრების თქმით, კანონის მიღმა სხვადასხვა საგანმანათლებლო სივრცეები იქმნება, რაც მიუღებელია. „კატასტროფული მდგომარეობაა, კაფე-ბარები რუსულ ენაზე იხსნება. სარეკლამო ფლაერებზეც არ არის ქართული წარწერები დატანილი. ფაქტობრივად, ეკონომიკური ოკუპაცია მიმდინარეობს", - განაცხადეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა რეზო ხარაზმა „ქართული ოცნების" წევრებს მიმართა და განაცხადა, რომ საკრებულოს წევრს ბათუმის მერია საჯარო ინფორმაციას არ აწვდის. მისი თქმით, ქალაქში არსებულ ქაოსურ მშენებლობებსა და სხვა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე შეკითხვები აქვთ.

- ბათუმის მერმა ვინმე ბექაია შპს „წყალკანალის" დირექტორის მოადგილედ დანიშნა, რატომ დანიშნა თავისი ძმაკაცი? არჩილ ჩიქოვანმა 203 000 ლარი რატომ გადაიხადა ავტომობილებში, სანდასუფთავების ფულით რატომ იყიდა ავტომობილები? ვითხოვთ ინფორმაციას, რადგან კატასტროფული მდგომარეობაა ტურიზმის მიმართულებით. ვხედავთ დამოკიდებულებას საკრებულოს წევრების მხრიდან. ბათუმის მერია სუს-ის შენობა გახდა, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

ოპოზიციის ბრალდებებს უმრავლესობის წევრები გამოეხმაურნენ. ისინი მიიჩნევენ რომ „ნაციონალური მოძრაობა" საქმეზე არ არის ორიენტირებული და სხდომებზე დესტრუქციისთვის შედის. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძის თქმით, ოპოზიცია ყოველ სხდომაზე პროვოკაციით არის დაკავებული.

„ქართული ოცნების" წევრი, საკრებულოს დეპუტატი ნატალია ზოიძე აცხადებს, რომ რუსულ წარწერებთან დაკავშირებით მუნიციპალური ინსპექცია მონიტორინგს ახორციელებს. მისი თქმით, ფაქტის გამო რამდენიმე ობიექტი უკვე დაჯარიმდა. ნატალია ზოიძის განმარტებით, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე საქართველოს კანონმდებლობას პატივს უნდა სცემდეს.

- მუნიციპალური ინსპექციის მიერ დაჯარიმებულია ობიექტები, როდესაც სახელმწიფო ენაზე წარწერა არ არის ან შრიფტი პატარაა. რეაგირება გაგრძელდება, რათა საქართველოს კანონმდებლობას პატივი სცეს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქემ. 30 ობიექტი დაჯარიმდა, 20 შემთხვევა გამოსწორდა, 10 დემონტირებული იქნა. რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის მიღებას, ჩვენ გამოგვითხოვია ინფორმაცია მერიისგან და საკრებულოსგან და მიგვიღია. საკრებულოს წევრს პრობლემა არ ჰქონია, - განაცხადა ნატალია ზოიძემ.

იხ. მე-3 გვ.

სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს აჭარის მთავრობა დაეხმარება

2

შევა თუ არა «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონში ცვლილებები?

4

«თითოეული იურისტი დიდ ძალისხმევას, ენერგიას და რესურსს დებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში»

4

საკუთარი თავის ძიებაში... შესაძლებელია, მომავალში კოსმოსშიც ვიხილოთ

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მუსლიმ მრევლს ყურბან ბაირამის დღესასწაული მიულოცა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ცენტრალურ მეჩეთში ყურბან ბაირამთან დაკავშირებით სადღესასწაულო ლოცვა შესრულდა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მუსლიმ მრევლს დღესასწაული მიულოცა. სადღესასწაულო ლოცვას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის მთავრობის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ყურბან ბაირამი მუსლიმურ საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია, იგი მარხვის დასრულებიდან 70-ე დღეს აღინიშნება. მუსლიმები, ტრადიციის მიხედვით, ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან.

- გილოცავთ ყურბან ბაირამის დღესასწაულს, რაც სიკეთეს, ურთიერთთანადგომას, ქველმოქმედებას უკავშირდება. მინდა გისურვოთ მშვიდობა და კეთილდღეობა! - ასე მიულოცა ეს დღე მუსლიმ მრევლს თორნიკე რიჟვაძემ.

სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს აჭარის მთავრობა დაეხმარება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის მთავრობა სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 215 ოჯახს 1 462 825 ლარს გამოუყოფს. თანხა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიცემა

დაზარალებული ოჯახების დახმარების საკითხი სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე განიხილეს. სხდომას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე წარმოდგენილი იყო აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან სხვადასხვა პერიოდში ხანძრითა და სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების საკითხი.

ბათუმის მერიამ სხდომაზე წარადგინა ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული 13 ოჯახის - ჯამში 154 460 ლარით დახმარების საკითხი. კომისიამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

კომისიის გადაწყვეტილებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში კომპენსაციას სტიქიის, ძლიერი ქარისა და დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული 138 ოჯახი მიიღებს, რისთვისაც სარეზერვო ფონდიდან 472 069 ლარი გამოიყოფა. დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზარალებული 15 ოჯახის - ჯამში, 184 438 ლარით დახმარების საკითხი.

ქედის მუნიციპალიტეტში დაზარალებული 16 ოჯახი მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, კომპენსაციის სახით, 168 757 ლარს მიიღებს.

კომისიამ იმსჯელა შუახევის მუნიციპალიტეტში ხანძრის, სტიქიის, გარემო პირობების შედეგად დაზარალებული და ეკომიგრანტი 31 ოჯახის დახმარების საკითხზე. 30 ოჯახი კომპენსაციის სახით, ჯამში, 423 101 ლარს მიიღებს, ხოლო 1 ოჯახის საკითხი, მასალების დამატებით შესწავლის მიზნით, განსახილველად მომდევნო სხდომისთვის გადაიდო. ხულოს მუნიციპალიტეტში ხანძრის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახის დახმარების საკითხთან დაკავშირებით კომისიამ, ასევე, დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, აღნიშნული მიმართულებით სარეზერვო ფონდიდან 60 000 ლარი გამოიყოფა.

სამთავრობო კომისიის რეკომენდაცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად უახლოეს დღეებში გადაეგზავნება.

მიმდინარე წელს, ამავე კომისიის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, 109 ოჯახზე უკვე გამოიყოფილია 1 107 976 ლარი.

ორი პირველი ადგილი და...

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ამბროლაურში ჩატარდა რაჭის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში 11, 13 და 15 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის. ასპარეზობაში ქვეყნის ქალაქებიდან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მოწვეული ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ხულოს მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ჩოგბურთელებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

13-წლამდე გოგონათა შორის ელისაბედ კოჩალიძე პირველი იყო (მწვრთნელი გია ბოლქვაძე). 15-წლამდე ასაკის გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო დიანა აბულაძემ (მწვრთნელი მინური რიჟვაძე).

11-წლამდე ასაკის ვაჟთა შორის მეორე ადგილი გიორგი ჭიღიტაშვილს ერგო, ამავე ასაკის ვაჟ ჩოგბურთელთა შორის მესამე ადგილიც ხულოელმა ნოდარ აბულაძემ დაიკავა. ორივე მათგანის მწვრთნელი მინური აბულაძეა.

- პირველ რიგში, მადლობას ვუხდით ტურნირის ორგანიზატორებს ჩვენი გუნდის მიწვევისა და კარგი მასპინძლობისთვის. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის ფინანსური მხარდაჭერა ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ გაგვიწია, - გვითხრა მინური აბულაძემ.

ავიაკომპანია WizzAir-ის საბორტო ჟურნალში ბათუმზე სტატია გამოქვეყნდა

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, ავიაკომპანია WizzAir - ის საბორტო ჟურნალში ბათუმზე სტატია გამოქვეყნდა

მათივე ცნობით, კომპანია WizzAir-ი ფრენებს მსოფლიოს 51 ქვეყნის 190-ზე მეტ ქალაქში ახორციელებს, მის საბორტო ჟურნალს კი ყოველთვიურად 10 მილიონზე მეტი მგზავრი ეცნობა.

ავიაკომპანია WizzAir-ი მგზავრებს აჭარაში მოგზაურობის მიზეზებს აცნობს. „ბათუმში სტუმრობის 10 მიზეზი“ - ამ სახელწოდებით სტატიას მილიონობით მგზავრი ზაფხულის განმავლობაში გაეცნობა. სტატია ავიაკომპანიის საბორტო ჟურნალის ივნისის, ივლისის და აგვისტოს გამოცემებშია განთავსებული. სტატიაში წარმოჩენილია აჭარის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები, ქართული ტრადიციები და სამზარეულო, მათ შორისაა აჭარული სამზარეულო, ქართული სტუმართმოყვარეობა, მთისა და ზღვის ტურისტული მიმართულებები.

„აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით სარეკლამო კამპანიებსა და პრეს-ინფოტურების ორგანიზებას აგრძელებს. ამჯერად, აჭარის საიმიჯო კამპანიები მიმდინარეობს საერთაშორისო ტელევიზიებში - Euronews-ზე, Deutsche Welle-სა და BBC-ზე. რეგიონის პოპულარიზაციისა და უცხოელი ტურისტების მოზიდვის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს უცხოელი ჟურნალისტებისა და ტურისტული სააგენტოების ვიზიტი აჭარაში. მიმდინარე წელს აჭარას უკვე სტუმრობდნენ სერბი, კორეელი, არაბი, უზბეკი, ყაზახი, პოლონელი, ებრაელი და თურქი ჟურნალისტები. 2022 წელს ბათუმი 500-მდე ჟურნალისტს, ბლოგერსა და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელს მასპინძლობდა“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამბები

დროშა - სკოლას

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

120 წლის წინ დაბა ქედაში ქართული სკოლა ამოქმედდა. დღეს ეს საგანმანათლებლო კერა ერთ-ერთი წარმატებულია ქვეყნის მასშტაბით. სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში. გაწეული მუშაობა კიდეც უფასდებათ.

სსიპ „ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლამ“ საქართველოს მასშტაბით ეკოსკოლების მწვანე დროშა მოიპოვა, რაც ჩვენს ქვეყანას ეკოსკოლების მსოფლიო რუკაზე მნიშვნელოვან ადგილს დაუმკვიდრებს. სკოლა ჩართულია გარემოსდაცვითი ორგანიზაციის „დაიცავი საქართველოს სისუფთავე“ ეკოსკოლის პროგრამაში, რომელიც ხორციელდება შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გახდა გამარჯვებული. მწვანე დროშა სკოლის ტერიტორიაზე აღიმართა.

პედაგოგებსა და მოსწავლეებს ეს წარმატება ქედის რესურსცენტრის უფროსმა დურმიშხან შავიშვილმა მიულოცა.

ეტლი - პედაგოგს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ავთანდილ ბერიძე წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან პედაგოგიურ ჯილდოზე გასვლამდე, უჩამბის ჯერ საშუალო, შემდეგ საჯარო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. წლებს თავისი გააქვს. 80 წელს გადაცილებულ ყოფილ პედაგოგს დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს. მისი მდგომარეობა შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინეს და მექანიკური ეტლი გამოუყვეს.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს წევრი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე სამოლეთში მცხოვრებ ყოფილ პედაგოგ ავთანდილ ბერიძეს ოჯახში ეწვივნენ და ეტლი საჩუქრად გადასცეს.

პრიორიტეტად რჩება

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

დაბა ხულოსა და სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, მოძველებული ადმინისტრაციული შენობების ახლით ჩანაცვლება რეგიონისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის მუშაობის მთავარ პრიორიტეტად რჩება. ამ ეტაპზე სოფელ პაქსაძეებში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. აქ საჯარო შეხვედრებისა და კულტურული ღონისძიებებისთვის შესაბამისი სივრცე მოეწყობა.

სამუშაოებს, რომლის ღირებულება 113 000 ლარია, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, შპს „მეგაბილდი“ ახორციელებს.

პროექტის მიმდინარეობის პროცესს ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ზაზა აბულაძესთან ერთად გაეცნო.

ჩვეული ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება – საკრებულოს სხდომაზე

პირველი გვერდიდან

საკრებულოს სხდომაზე „ქართული ოცნების“ წევრმა მინდია გოგუაძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ტყუილის გავრცელებაში დაადანაშაულა. დაპირისპირება ქალაქში ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თაობაზე ოპოზიციის კითხვებს მოჰყვა. „გველო შენ, გაგიტეხავ თავს, უზრდელი ხარ და იტყუები“, - ასე მიმართა მინდია გოგუაძემ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ რეზო ხარაზს. დაპირისპირება კოლეგების ჩარევის შედეგად განიმუხტა. საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ დეპუტატებს სიტყვით მიმართა და განუმარტა, რომ ქალაქში თუ ინფრასტრუქტურული პრობლემებია, ფოტომასალა შესაბამის სამსახურებს მიაწოდონ. რამაზ ჯინჭარაძის თქმით, რუსული წარწერების არსებობა არავის სიამოვნებს.

- თუ გგონიათ, ვინმეს სიამოვნებს ეს რუსული წარწერები, ძალიან ცდებით. სადაც ხედავთ მსგავს ფაქტს, მოგვაწოდეთ, შესაბამის სამსახურებს გადაეცით. მე მოსახლეობაში დავდივარ, გვითხარით, სად არის ორმოები, - თქვა რამაზ ჯინჭარაძემ.

საკრებულოს წევრებმა სხდომაზე მხარი დაუჭირეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტს. აღინიშნა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების სამ განზომილებას - ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე. მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვისა და მათი შესრულების მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნება მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივი საბჭო, რომელსაც უხელმძღვანელებს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, ასევე, ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებიდან.

საკრებულომ ცვლილება შეიტანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფიქრზე ან/და ფოტოფიქრზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესში, კონკრეტულად, დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესში, რომლის შესაბამისად პირისთვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს საჯაროდ, ოფიციალურ ვებგვერდ inspection.batumi.gov.ge-ზე, შესაბამის ველში.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ ორ საკითხს, რომელთა მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, კახაბრის დასახლებაში მდებარე 76,00 კვმ და 122,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს.კ. 05.32.14.277 და ს.კ. 05.32.14.278), ამასთანავე, ქალაქ ბათუმში, ბნქ-ის ტერიტორიაზე მდებარე 348,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 22.22.15.336) გადაეცემა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში, შემდგომში მისი სს „ენერგო-პრო ჯორჯიაზე“ პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადასაცემად, ძაბვის ქვ/ს-ის ტერიტორიის გაფართოების მიზნით. მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა მოხდება სიმბოლურ ფასად, იმ პირობით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) წლის ვადაში კომპანია უზრუნველყოფს არსებული ქვესადგურების რეკონსტრუქციას.

საკრებულომ ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში, რომლის მიხედვითაც განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას დაემატა ერთი ობიექტი, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას - ორი ობიექტი.

საკრებულომ განსაზღვრა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის ფორმით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, შემდგომი განკარგვის მიზნით. მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დროს გამოყენებულ იქნა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა (№003475923, 23.05.2023 წ.), რომლის შესაბამისად 05.32.18.074 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1.00 კვმ მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 801,88 ლარს, საიჯარო ქირა 5% - 40,09 ლარს. საბოლოოდ, საკრებულომ მიზანშეწონილად მიიჩნია 1 კვმ მიწის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს არანაკლებ 5%-სა, 45,0 ლარით.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დავით აღმაშენებლის ქუჩის №3-ში, მე-4 სართულზე მდებარე 71,0 კვმ ფართის №39 ბინა (ს.კ. 05.25.05.017.01.039) და ქალაქ ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩის №1-ში, მე-11 სართულზე მდებარე 44,0 კვმ ფართის №1120 ბინა (ს.კ. 05.25.05.006.01.01.1120) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას გადაეცა საკუთრებაში შემდგომში ავარიული სახლებიდან გაყვანილი მოქალაქეებისათვის პირდაპირი წესით განკარგვის მიზნით.

საკრებულომ ცვლილებები შეიტანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხაში. კერძოდ, განხორციელდა ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-იურისტის საშტატო ერთეულის დასახელების ცვლილება. აღნიშნულ საშტატო ერთეულს მოეხსნა იურისტის დასახელება და ჩამოყალიბდა მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად. ასევე, ამავე განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთ პოზიციას შეეცვალა დასახელება და ჩამოყალიბდა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-იურისტის პოზიციად.

საკრებულომ დაამტკიცა ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია. კერძოდ, საკითხი ეხება თამარ მეფის გამზირის №62-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №05.34.23.050 მრავალსართულიანი შენობის მშენებლობის მიზნით შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსის“ მიერ წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციას. ამასთან, განკარგულებით შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსს“ (ს/N446987725) განემარტა, რომ იგი ვალდებულია დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 19 ივნისის №01-01-10/3252 წერილით დადგენილი პირობები, წინაღმდეგ შემთხვევაში, დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა გამოცხადდება ძალადაკარგულად.

სხდომაზე ასევე დაამტკიცეს ქალაქ ბათუმში, №05.26.01.117 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმა, ხოლო შპს „ჯი.არ.აის“ მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვრება საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ №05.26.01.117) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით, საცხოვრებელი ფართობის საბაზრო ღირებულების ოდენობის თანხით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით (მათ შორის, სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით).

სხდომაზე მხარი დაუჭირეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციას ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: №05.32.03.215; №05.32.16.239; №05.32.03.101; №05.32.16.227; №05.32.16.228; №05.32.16.230; №05.32.16.242. აქაც კომპანიის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვრა საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ №05.26.01.117) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით, საცხოვრებელი ფართობის საბაზრო ღირებულების ოდენობის თანხით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით (მათ შორის, სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით).

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ სახლზე - იზოლდა სამსონიას, ხოლო ვაჟა-ფშაველას ქ. №7-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგოგიძის მემორიალური დაფები განთავსდება.

სხდომას ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე უძღვებოდა.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით...

აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გერმანიაში, ხოლო ბაკალავრის 11 სტუდენტი სწავლას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გააგრძელებს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილსა და უნივერსიტეტის რექტორ მერაბ ხალვაშთან ერთად, სასწავლო და სტაჟირების პროგრამით საზღვარგარეთ გამგზავრებამდე სტუდენტებს შეხვდა.

„სასიხარულოა, რომ ყოველწლიურად სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს სტუდენტების სწავლა და სტაჟირება საზღვარგარეთ. მნიშვნელოვანია ის აკადემიური და სამუშაო გამოცდილება, რასაც ჩვენი ახალგაზრდები ევროპის ქვეყნებსა და ინსტიტუციებში იძენენ. ჩვენი ევროპელობა სწორედ ჩვენი შრომით და მიღებული ცოდნით უნდა დავამტკიცოთ. ჩვენ მიზნად დავისახეთ სტუდენტების სწავლისა და დაფინანსების ყოველწლიურად გაზრდა. ეს დაპირება შესრულებულია. ახლა ჯერი ახალგაზრდებზეა“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ შეხვედრისას.

როგორც აჭარის მთავრობაში აღნიშნავენ, წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამით 400 სტუდენტს დაუფინანსდება საზღვარგარეთ სწავლა და სტაჟირება. აჭარის მთავრობის ხელშეწყობით ასევე დაიგეგმა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. სტუდენტური საცხოვრებლით აჭარაში მოქმედი სამი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის 1000 სტუდენტი ისარგებლებს. განათლების მიმართულებით ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია, რაც აისახება როგორც საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე, ისე ახალგაზრდებისთვის სწავლების დაფინანსებაზე.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

მოსკოვსა და მინსკს გავუგზავნეთ მკაფიო მესიჯი, რომ ნატო დაიცავს ყველა მოკავშირეს, ნატოს ტერიტორიის ყოველ ინჩს, - განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. „გავზარდეთ ჩვენი სამხედრო ყოფნა ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში და მივიღებთ შემდგომ გადაწყვეტილებებს, რათა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი კოლექტიური თავდაცვა“, - განაცხადა სტოლტენბერგმა ჰააგაში, ნატოს შვიდი ქვეყნის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, ალიანსი მზადაა დაიცვას მოკავშირეები ბელარუსისა და რუსეთისგან, ამასთან მიიჩნევს, რომ „ვაგნერის“ ამბოხებასთან დაკავშირებული მოვლენები რუსეთის შიდა საქმეა.

* * *

ლატვიისა და ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნატოს მოუწოდეს, გააძლიეროს აღმოსავლეთ საზღვრები ბელარუსში კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ მებრძოლების განლაგების საპასუხოდ. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და არჩეულმა პრეზიდენტმა ედგარს რინკევიჩსმა აღნიშნა, რომ „ვაგნერელთა“ და მათი ლიდერის ბელარუსში განლაგება უსაფრთხოების თვალსაზრისით უნდა შეფასდეს. თავის მხრივ, ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელიუს ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ სიჩქარე, რომლითაც „ვაგნერელები“ მოსკოვისკენ მოძრაობდნენ, მიუთითებს ბალტიის ქვეყნების თავდაცვის გაძლიერების აუცილებლობაზე.

* * *

შვედეთმა თურქეთის მიერ ნატოში გასაწევრიანებლად წაყენებული მოთხოვნები შეასრულა, - განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტობიას ბილსტრომმა. მისივე თქმით, ტერორიზმის შესახებ ახალი კანონის შემოღებით, შვედეთმა შეასრულა ფინეთის, შვედეთისა და თურქეთის სამმხრივ გეგმაში შეთანხმებული საბოლოო მოთხოვნები. „ძალაში შევიდა ახალი კანონმდებლობა, რომელიც არაკანონიერად აქცევს ტერორისტულ ორგანიზაციაში ნებისმიერი სახით მონაწილეობას, რომელიც ხელს უწყობს, აძლიერებს ან მხარს უჭერს მას. ამით ჩვენ ვასრულებთ ჩვენი შეთანხმების ბოლო ნაწილს“, - აღნიშნა ბილსტრომმა.

* * *

ჯგუფ „ვაგნერის“ საჭიროებები სრულად სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდა. 2022 წლის მაისიდან 2023 წლის მაისამდე მებრძოლებისთვის ფულად ანაზღაურებასა და მასტიმულირებელ გადახდებზე გაცემული თანხა 86 მლრდ 262 მლნ რუბლს შეადგენს, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. მისივე განმარტებით, ამბოხის ჩახშობაში სამხედროებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. „თქვენ ფაქტობრივად შეაჩერეთ სამოქალაქო ომი, იმოქმედეთ მკაფიოდ და შეთანხმებულად“, - მიმართა პუტინმა სამხედროებს კრემლში გამართულ შეხვედრაზე.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების ინფორმაციით, შავ და აზოვის ზღვებში საბრძოლო მორიგეობაზე რუსეთს ხუთი ხომალდი ჰყავს, მათ შორის რაკეტმზიდები არ არის. გარდა ამისა, ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ფედერაციას 8-მდე საბრძოლო ხომალდი ჰყავს, მათ შორის, ერთი „კალიბრების“ მზიდი ხომალდია 4 რაკეტამდე ერთდროული ზალპის შესაძლებლობით.

მოამზადა
ია შველიძემ

შევა თუ არა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში ცვლილებები?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და 77 ხმით მხარი დაუჭირა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს

კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის, ბაია კვიციანის, განმარტებით ცვლილებათა პაკეტი მომზადდა „საქპატენტის“, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით. მისივე თქმით, მოქმედი კანონმდებლობა კოლექტიური მართვის სფეროში სრულად ვერ პასუხობს დარგში არსებულ გამოწვევებს. ასევე, მასში არსებული ბუნდოვანება ქმნიდა ინტერპრეტაციის საშუალებას, რამაც სფეროში მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ცვლილებების განხორციელების საჭიროება. მომხსენებლის განმარტებით, კანონპროექტი შემუშავდა სამ პრინციპზე დაყრდნობით. ეს არის: გამჭვირვალობა, კარგი მმართველობა და ანგარიშვალდებულება.



- კანონპროექტი შედგენილია ევროდირექტივის მიხედვით, ევროკავშირში არსებული კოლექტიური მართვის სისტემასთან ჰარმონიზების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და ასოცირების ხელშეკრულებასთან ჰარმონიზების ჭრილში. მისი მიზანია საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებებზე ქონებრივი უფლებების მართვის სისტემის განვითარება და ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას და ამასთანავე, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების უფლებების სათანადო აღსრულებას. მიუხედავად მრავალი მითქმა-მოთქმისა, ფაქტი ჯიუტია - ვინც ჩაიხედავს კანონპროექტში, მიხვდება, რომ ეს კანონპროექტი ძალიან დაახლოებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ევროდირექტივასთან, არის ევროპული სტანდარტების მიხედვით შემუშავებული, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრნობით და აუცილებლად დარწმუნდება, რომ იმ სამი ძირითადი პრინციპის - კარგი მმართველობის, გამჭირვალობის და ანგარიშვლადებულების თვალსაზრისით არის ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების გამართულად, სისტემურად და სამართლიანად დაცვასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებასა და ეკონომიკურ წინსვლას, - განაცხადა ბაია კვიციანმა.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში ცვლილებებზე მეორე მოსმენითაც იმსჯელეს. საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა ოპოზიციაში. ხელისუფლების ოპონენტების ნაწილი პროექტს მხარს უჭერს, ნაწილს კი პრინციპულად განსხვავებული პოზიცია აქვს.

მმართველ გუნდში პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობენ და განმარტავენ, რომ კანონპროექტი საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლიან და სისტემურ დაცვას უზრუნველყოფს. ცვლილებები საშუალებას მისცემს თითოეულ ავტორს, თუ ავტორ-შემსრულებელს, მათზე თანაბარ, სამართლიან პირობებში გადანაწილდეს ჰონორარები და უზრუნველყოფს როგორც მათი, ისე მომხმარებლის უფლებების სათანადო დაცვას.

> *არაკეთილსინდისიერი ადამიანები კანონმდებლობის მიღების შემდეგაც აუცილებლად დაარღვევენ სხვის უფლებებს. მაინც მოიპარავენ, მაგრამ ამას შემდეგ ავტორი რამდენად მისცემს სამართლებრივ მსვლელობას? ადამიანები, რომლებიც რაღაცას ქმნიან, ლექსებს წერენ, თუ ფოტოებს იღებენ, სხვანაირები არიან. სასამართლო, ბუღალტერია და ა.შ. ნაკლებად აინტერესებთ*

- დავიწყებ იმით, რომ კანონმდებლობაში ცუდად ვერკვევი, მაგრამ ვიცი, რომ ეს კანონი რაღაც დონეზე არსებობს. რამდენიმე წლის წინ ერთ ჯგუფთან შეხვედრა მქონდა, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობდა. მოვიყვანე რამდენიმე მაგალითი ჩემი გამოცდილებიდან, რომ ჩემი შექმნილი პროდუქცია უკანონოდ გამოიყენეს. რამდენიმე მაგალითი მოვუყევი და მითხრეს, რომ თუ სურვილი მქონდა, მათ შეეძლოთ ეს პრობლემა მოეგვარებინათ. შემომთავაზეს სამართლებრივი დავის დაწყება თანხის მოთხოვნით. სასამართლოს მოგების შემთხვევაში, ბუნებრივია, იქიდან რაღაც პროცენტს თვითონ აიღებდნენ. მე არაფერს ვაგებდი, მხოლოდ დამკვირვებლის როლში ვიქნებოდი, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან გარდა სამართლებრივი დავისა, ამ დროს სხვა პრობლემებიც ჩნდება და უბრალოდ, არ გინდა, რომ ამაზე თავი აიტკიო, სამართლებრივი მარათონი დაიწყო, საზოგადოებაც ისე ვერ გაგიგებს, როგორც არის. შესაბამისად, თავი შევიკავე. ვფიქრობ, ეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა. ყველაზე მთავარი მაინც ადამიანური ფაქტორია და საბოლოო ჯამში, ადამიანების კეთილსინდისიერებამდე მიდის ყველაფერი. არაკეთილსინდისიერი ადამიანები კანონმდებლობის მიღების შემდეგაც აუცილებლად დაარღვევენ სხვის უფლებებს. მაინც მოიპარავენ, მაგრამ ამას შემდეგ ავტორი რამდენად მისცემს სამართლებრივ მსვლელობას? ადამიანები, რომლებიც რაღაცას ქმნიან, ლექსებს წერენ, თუ ფოტოებს იღებენ, სხვანაირები არიან. სასამართლო, ბუღალტერია და ა.შ. ნაკლებად აინტერესებთ. თუ ოდესმე ჩვენი მენტალობა შეიცვლება, არ ვიცი... თუმცა, ვფიქრობ, დღეს ეს დიდად ვერ შეცვლის არსებულ სიტუაციას, - გვითხრა შოთა გუჯაბიძემ.

> *მთელი ჩემი შემოქმედების პერიოდში ამ პრობლემას მწვავედ ვგრძნობდი. დღეს არა მარტო შემოქმედი ადამიანებისთვის გამძაფრდა ეს პრობლემა, არამედ თანამედროვე ციფრულ ტეგნოლოგიებშიც, ინტერნეტსივრცეში, სადაც ყოველ წამს ირღვევა საავტორო უფლებები*

- ამ კანონში ცვლილებები დიდი ხანია იყო შესატანი. ახალი ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო. არის ევროპული ვარიანტი და ის უფრო მისაღებია ჩვენთვის, ვიდრე ამერიკული. მე არ ვარ იურისტი, მაგრამ მთელი ჩემი შემოქმედების პერიოდში ამ პრობლემას მწვავედ ვგრძნობდი. დღეს არა მარტო შემოქმედი ადამიანებისთვის გამძაფრდა ეს პრობლემა, არამედ თანამედროვე ციფრულ ტეგნოლოგიებშიც, ინტერნეტსივრცეში, სადაც ყოველ წამს ირღვევა საავტორო უფლებები. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებასთან მუშაობისას



პრობლემა მხოლოდ ევროპული საავგენტოებთან არ მქონდა. იქ მკაფიოდ დაკონკრეტებული და გამიჯნულია საავტორო და ქონებრივი უფლებები. თუ ამ ახალი ცვლილებების მიუხედავად, ისევ ბუნდოვანი დარჩება კანონის სხვადასხვა პუნქტი და არ გაიმიჯნება ქონებრივი და საავტორო უფლებები, ჯობია არაფერი გააკეთონ. ამასთან, შემოქმედების ყველა სფეროში გასათვალისწინებელია განსაკუთრებული ნიუანსები, - თქვა ჩვენთან საუბარში სეირან ბაროიანმა.

„თითოეული იურისტი დიდ ძალისხმევას, ენერგიას და რესურსს დებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

არაფორმალურ სექტორში დასაქმებულების შრომა ხშირად არაღიარებული, დაურეგულირებელი და დაუცველია. ღირსეული შრომის უფლება აქვს ყველას, სამუშაო ადგილის თუ დასაქმების ფორმის მიუხედავად. 27 წელია, რაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ამ მიმართულებით საქმიანობს და არსებობის განმავლობაში 1 მილიონზე მეტ ადამიანს გაუწია უფასო იურიდიული დახმარება-კონსულტაცია. ორგანიზაციამ საქმიანობა დაიწყო, როგორც პროფესიონალ იურისტთა გაერთიანებამ, რომელმაც მიზნად დაისახა იურისტის პროფესიის გარშემო არსებული უარყოფითი სტერეოტიპის შეცვლა და საკუთარი პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობისა და საქმიანობის მაგალითზე იურიდიული პროფესიის განვითარების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა. ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე თამარ წულუკიძეს.

- ქალბატონო თამარ, არის თუ არა ძალისხმევის შესაბამისად აღქმული თქვენი საქმიანობა?

- საიას თითოეული იურისტი დიდ ძალას, ენერგიას და რესურსს დებს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩვენ მუდამ მზად ვართ, დავეხმაროთ ადამიანებს, შევთავაზოთ პრობლემების მოგვარების ალტერნატიული გზები. ეს ნამდვილად შრომატევადია და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ აღიქვას ის, თუ რამხელა ძალისხმევა დევს ამ ყველაფერში.

- დაუცველი ადამიანების უფლებების დაცვა, სხვებზე ზრუნვა, თქვენს ცხოვრებას ამძიმებს თუ ამსუბუქებს?

- მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. მათ პრობლემებს ვუდგებით ისე, როგორც საკუთარს, ამიტომ ხშირად ძალიან მძიმედაც აღვიქვამთ სიტუაციებსა და კონკრეტულ საქმეებს. თუმცა ჩვენი ორგანიზაცია სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ამ ადამიანებს სირთულეების გადალახვაში დაეხმაროს. ყოველი წარმატება გვავიწყებს იმ სირთულეებს, რაც საქმისწარმოების ფარგლებში გვაქვს.

- რა საკითხებია დღეს მოქალაქეებისთვის ყველაზე მწვავე?

- ყველაზე ხშირად შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევებით მოგვმართავენ, აგრეთვე, ხშირია საოჯახო დავები, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პრობლემები, აქტუალურია მიწის რეგისტრაციის საკითხები, პერიოდულად გვატყობინებენ ძალადობის ფაქტების შესახებ. ბათუმში მშენებლობების რაოდენობიდან გამომდინარე, სამშენებლო დავებიც საკმაოდ ხშირია.

- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება დასაქმების დროს, რომ ვიყოთ დაცული?

- აუცილებელია, ხელშეკრულება გავაფორმოთ წერილობითი ფორმით, რაც ქმნის როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის მაღალი დაცვის გარანტიას. ხელშეკრულებაში უნდა იყოს ყველა არსებითი პირობა, კერძოდ, უნდა აღინიშნოს ვადა, შრომის ანაზღაურების წესი, შვებულების და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, მივლინების საკითხი და ა.შ. აუცილებელია, პირი გაეცნოს კომპანიის შინაგანაწესს, რომელიც, როგორც წესი, ხელშეკრულების ნაწილია და დასაქმებულებს იშვიათად აქვთ წვდომა ამ დოკუმენტზე. რეალურად, შინაგანაწესში უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი შრომითი ურთიერთობების ის პირობები, რომელზე წვდომა პირს აუცილებლად წინასწარ უნდა ჰქონდეს. თავის მხრივ, გათავისუფლების დროს, დასაქმებულმა უნდა მოითხოვოს გათავისუფლების შესახებ ბრძანება და მისი დასაბუთება. თუკი ეს დასაბუთება დისკრიმინაციული და კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების ნიშნებს აჩენს, შემდეგ უკვე შესაძლებელია სასამართლოს წესით მოითხოვოს პირმა დარღვეულ უფლებებში აღდგენა.

- რა ეტაპზე მოგმართავენ ძირითადად დასაქმებულები და რის გამო?

- დასაქმებულები ჩვენს ორგანიზაციას უკვე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მიმართავენ, თუმცა უმჯობესია, ჩვენთან კომუნიკაცია მანამდე დაამყარონ, მაშინ, როდესაც მთელი დასაქმების პერიოდი არის პრობლემური, ფიქსირდება დისკრიმინაციული და უკანონო მოპყრობა. ასეთი ფაქტის დაფიქსირებისთანავე შესაძლებელია მათ კონსულტაცია გაიარონ ჩვენს იურისტთან და მიიღონ რჩევები, თუ როგორ შეიძლება დაიცვან თავი დამსაქმებლის უკანონო ქმედებებისგან.

- რამდენად მუშაობს პრაქტიკაში შრომის ინსპექციის გადაწყვეტილებები და ჯარიმები, რას ცვლის ეს?

- შრომის ინსპექციის სწრაფი რეაგირება იმის დასტურია, რომ ეს უწყება მუშაობს, ადგენს დარღვევებს და აჯარიმებს პირებს. მოკლევადიან პერსპექტივაში ამას აქვს ე.წ. სადამსჯელო ეფექტი დამსაქმებლისთვის. გრძელვადიან პერსპექტივაში კი უნდა მოხდეს მომავალში შრომითი ურთიერთობების დასტაბილურება და დასაქმებულის უფლებების დარღვევის პრევენცია.

- რა კუთხით ირღვევა ძირითადად დღეს შრომითი კონტრაქტები?

- შრომითი კონტრაქტები, პრაქტიკულად, არც კი სრულდება, ანაზღაურების ოდენობაც განსხვავებული წერია მათში, ვიდრე რეალურად აქვთ პირებს. ხშირად ირღვევა ზეგანაკვეთური ანაზღაურების პირობები, შვებულების გაცემის წესი და სამუშაო დროის გრაფიკის დადგენილი მოდელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პირველივე დარღვევაზე რეაგირება და დამსაქმებლისგან პასუხის მიღება იმაზე, თუ რა მოტივით ზღუდავს დასაქმებულის უფლებებს, სხვა რა სიკეთე არის უფრო მაღალი დაცვის მქონე მისთვის, ვიდრე კონკრეტული პირის შრომის უფლებებია.

საკუთარი თავის ძიებაში...

შესაძლებელია, მომავალში კოსმოსშიც ვიხილოთ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბსუ-ის ტურიზმის ფაკულტეტის მოწინავე და კრეატიულმა სტუდენტმა ***ნინო კაკაბაძემ*** *სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ფოტოკონკურსში „ვარსკვლავთბიჭუნა“ პირველი ადგილი მოიპოვა. იგი არაერთ საგანმანთლებლო პროგრამაში მონაწილეობს, „სტუდენტური პროექტების“ გამარჯვებული პროექტის - „100 წერილი ბსუ-ს“ ერთ-ერთი ავტორია. სად და როგორ ხედავს საკუთარ თავს მომავალში? რაზე ფიქრობს და ოცნებობს? - ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.*

- ნინო, გილოცავთ ფოტოკონკურს „ვარსკვლავთბიჭუნაში“ გამარჯვებას. ეს კონკურსი ყოველწლიურია? რამდენი კონკურსანტი მონაწილეობდა?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. დიახ, ყოველწლიურია. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენი მონაწილე იყო, თუმცა სამი გამარჯვებულიდან პირველ ადგილზე გავედი.

- როგორც გავიგე, საკონკურსო ფოტო შემთხვევით გადაიღეთ...

- ფოტო შარშანდელ ზაფხულს, უმშვენიერეს გოდერძის უღელტეხილთან მდებარე ერთ-ერთ სოფელში გადავიღე. ჩვენი კუთხე

გამოირჩევა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით და ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას შევხვდი ამ ბიჭუნას, რომელსაც ცხოველები ძალიან უყვარს. „ვარსკვლავთბიჭუნას“ წყალობით, მაღალმთიანი აჭარა, კერძოდ, გოდერძის უღელტეხილი, ალბათ, მუდამ თბილ და კომფორტულ გარემოდ გამახსენდება. ჰოდა, ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას წინ - დიდ ეზოში მოთამაშე ბავშვების ცქერისას გადავწყვიტე, ფოტო გადამეღო და სამახსოვროდ წამეღო. ბიჭუნას და ძაღლის ფოტო საკმაოდ კარგი გამოვიდა. კამერამ დააფიქსირა დაუვიწყარი მომენტი. შემდეგ, ფოტოების დათვალიერებისას, გამახსენდა, რამდენად ბედნიერი ვიყავი იქ ყოფნისას.

- ფოტოგრაფიით რამდენი ხანია დაინტერესდით? ხომ არ აპირებთ ამ სფეროში საქმიანობას?

- არც ისე დიდი ხანია, რაც დავინტერესდი. ეს, ალბათ, როგორც ყველა ჩემი თანატოლისთვის, უფრო გატაცებაა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ საქმეს ასეთი ინტერესით შევხედე.

- გარდა ფოტოგრაფიისა, კიდევ რა გიზიდავთ?

- გატაცებული ვარ სხვადასხვა ქვეყნის კულტურითა და ტრადიციებით, განსაკუთრებით, აზიის რეგიონია ჩემი ამჟამინდელი ინტერესის სფერო. გარდა ამისა, მთლიანად ჩაფლული ვარ საზღვაო სფეროში და მსურს, ახლო მომავალში მისი ნაწილი გავხდე.

- არაერთ საგანმანათლებლო პროგრამაში მიიღეთ მონაწილეობა. რომელს გამოარჩევთ?

- ყველაზე გამორჩეული შარშან საქართველოსა და იაპონიას შორის ურთიერთობისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება იყო... გვესწრებოდა იაპონიის ელჩი თავისი დელეგაციით. ღონისძიებას ჩემ მეგობარ ელენე კურტანიძესთან ერთად ვუძღვებოდი. ბათუმი წელსაც უმასპინძლებს ამ ღონისძიებას. მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურსი, რომელშიც, ასევე, ელენესთან ერთად ვმონაწილეობდი, არის „სტუდენტური პროექტები“, რომლის ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტის „100 წერილი ბსუ-ს“ ავტორები ვართ. ვგეგმავთ, წერილები წლის ბოლომდე ცალკე წიგნადაც გამოვცეთ. ვფიქრობ, რომ მან უნდა მოიცვას ბსუ-ის კურსდამთავრებულების ისტორიები, სადაც სხვადასხვა პროფესიის საინტერესო ადამიანები იქნებიან წარმოდგენილი. ამას გარდა, სხვა ტრენინგებსა და პროგრამებში ვმონაწილეობ. ამათაგან უახლესია EBIT Croup EXPO Batumi-ის საერთაშორისო გამოფენები, რომლებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი 2022 წლის გაზაფხულის სეზონიდან და მინდა, მსგავს პროექტებსა და ღონისძიებებს გავუწიო რეკომენდაცია, რადგან ისინი სტუდენტს ეხმარება უფრო წარმოაჩინოს თავი. აღსანიშნავია ტრენინგები ბათუმსა და ბერლინში მასპინძლობისა და სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით.

- სად ხედავთ საკუთარ თავს მომავალში?

- ეს საკმაოდ რთული კითხვაა, რომელზეც ზუსტი პასუხი არ მაქვს. დღეს, ამ წუთებში საკუთარი თავისა და ინტერესების ძიებაში ვარ. მიყვარს ყველაფერი ახალი და საინტერესო, უნიკალური და ორიგინალური, მომავალში სავსებით შესაძლებელია, კოსმოსში მიხილოთ.

- კარგი საუნივერსიტეტო განათლების გარდა, კიდევ რა არის საჭირო პროფესიაში წარმატების მისაღწევად?

- სურვილი, განვითარდე, ისწავლო და გაიზარდო, გამოიყენო გარემოება უკეთესი სამუშაო პირობების შესაქმნელად და გქონდეს სუფთა და წრფელი მიდგომა როგორც სამსახურის, ასევე თანამშრომლებისადმი.

- შემდგარი ადამიანი როგორი წარმოგიდგენიათ? თქვენს თვალსაწიერზე თუ ხედავთ ასეთებს და ვინ არის თქვენთვის სამაგალითო?

- ჩემი გადმოსახედიდან არ არსებობს „შემდგარი“ ადამიანი, რომელსაც ყველაფერი აქვს და მისი ცხოვრება ყველაფრისგან „კარგად“ შემდგარია. ამ ყველაფრისთვის თითოეულს უწევს ბრძოლა, გამარჯვებისა და მარცხის გამოცდა, შესაბამისად, „შემდგარი“ შეგვიძლია ვუწოდოთ მის მიერ განვლილ ცხოვრებას, გზას დასაწყისიდან, სანამ არ შეწყვეტს ამ გზაზე სიარულს. ვხედავ თუ არა შემდგარ ადამიანს გარშემო? მინდა ვთქვა, რომ - არა. ჯერ კიდევ პატარა ვარ იმისთვის, რომ ადამიანის ცხოვრება დავახასიათო როგორც „შემდგარი“. ამის გამოცდილება არ მაქვს. ჯერჯერობით ჩემს ცხოვრებას ვხედავ როგორც „ადრენალინის მაძიებელ ტურისტს“, შესაბამისად, ვერ ვიტყვი, ვინ არის „შემდგარი“ ჩემ ირგვლივ და ვინ - არა. რაც შეეხება სამაგალითო ადამიანს, პიროვნებას, უდავოა, რომ მაგალითს ჩემი ოჯახის წევრებისგან ვიღებ.

- თვისება, რომელიც ყველაზე ფასეულია ადამიანში...

- გულწრფელობა. ვთვლი, რომ ეს დახასიათება მოიცავს ყველა იმ თვისებას, რასაც ადამიანი ჰქვია. არიან ისეთები, რომლებიც ნაკლებად ცდილობენ თავის შეფუთვას და სწორედ მსგავსი ადამიანებისაგან შეიძლება ვისწავლოთ ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაგება, მოსმენა და მხარდაჭერა. ასეთი ადამიანები გვაჩვენებენ, თუ რამდენად თავისუფალია ადამიანი მაშინ, როდესაც ის არ კარგავს თავის საწყის სახეს.

- ბედნიერად თვლით თავს? რა არის ბედნიერებისათვის აუცილებელი?

- ვარ თუ არა ბედნიერი, თავს ვგრძნობ ნორმალურად. რაც შეეხება კითხვას, რა არის ბედნიერებისთვის საჭირო? - ეს ინდივიდუალურია. ჩემს შემთხვევაში საკმაოდ გამოკვეთილია ხასიათის ცვალებადობა. შესაძლებელია, რამდენიმე წუთში უსაზღვრო ბედნიერება ვიგრძნო და პირიქით. რაც შეეხება წუთიერ სიხარულს, ჩემთვის სავსებით საკმარისია გემრიელი საჭმელი, ნაყინი, რაც ჩემთვის სეროტონინია, შემდეგ მანგები (იაპონური კომიქსები), რომელთა კითხვა სრულ სიმშვიდეს მმატებს და ბოლოს არის სიმღერები, რომლებიც ჩემს განწყობაზე აისახება. არ არის აუცილებელი, იბრძოლო ბედნიერებისთვის, რადგან თუ ჩვენ დროს მის ძიებაში გავატარებთ, დიდი შანსია, რომ ის გამოგვრჩეს, დავკარგოთ.

- რას ფიქრობთ დღევანდელობაზე, მომავალზე?

- დღევანდელი საკმაოდ მალე ხდება გუშინდელი, წარსულით რთულია განსაზღვრო მომავალი. მე იმ ადამიანთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც ოცნებობენ ყველაფერ დიადზე, „აუსრულებელზე“ და „შეუძლებელზე“, რადგან მჯერა, რომ სწორედ მსგავსი ოცნებები ასრულდება. აქედან ივარაუდებთ, რომ მომავალს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, თუმცა ეს ასე არ არის. ვცხოვრობ დღევანდელობით, უფრო სწორად, ამ წუთით. საკმაოდ სპონტანური ადამიანი ვარ, აქედან გამომდინარე, ჩემს ლექსიკონში „გეგმა“ არ არსებობს, რადგან ამის გარეშე დღე უფრო ლამაზი, საინტერესო და მშვენიერია.

- წიგნი - თქვენს ცხოვრებაში, მისი მომავალი როგორ გესახებათ?

- წიგნი ჩემი ცხოვრების მუდმივი მეგზურია და შესაძლებლობა - ვიცხოვრო იმ პერსონაჟით, რომლის ისტორიასაც ვეცნობი, ვიმოგზაურო ისეთ სამყაროში, სადაც მხოლოდ წიგნების მეშვეობით შევძლებ მისვლას. ის ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებით საფრთხე ემუქრება წიგნს, როგორც ფიზიკურ ნივთს, თუმცა ის არასოდეს დაკარგავს აქტუალობას.

- ბათუმი - თქვენთვის, მისი აწმყო და მომავალი?

- ეს არის ქალაქი, რომელიც ძალიან მიყვარს და როგორც ბავშვობაში, ახლაც მჯერა, რომ სადაც უნდა წავიდე, მსგავს ქალაქს ვერასოდეს მივაგნებ და ვერასდროს მიმიღებს სხვა ქალაქი ისე, როგორც ბათუმი. რაოდენ სასიხარულოა, რომ ბათუმი დიდი პოტენციალის ქალაქია და ეს შეხედულება დღითი დღე მყარდება.

- დასვით სასურველი კითხვა და უპასუხეთ...

- რას ნიშნავს იყო ბედნიერი და მდიდარი? ბედნიერი ადამიანი მუდამ სიმშვიდისა და ჰარმონიის ძიებაშია და ის არა მარტო ეძებს, არამედ თვითონ ქმნის მას. ადამიანი, რომელიც ჰარმონიისა და სიმშვიდისთვის ცხოვრობს, კმაყოფილდება მცირედით და გამოირჩევა თავმდაბლობით, შესაბამისად, ის მდიდარ ადამიანად ითვლება.

> ***„ჯერ კიდევ პატარა ვარ იმისთვის, რომ ადამიანის ცხოვრება დავახასიათო როგორც „შემდგარი“. ამის გამოცდილება არ მაქვს. ჯერჯერობით ჩემს ცხოვრებას ვხედავ როგორც „ადრენალინის მაძიებელ ტურისტს“, შესაბამისად, ვერ ვიტყვი, ვინ არის „შემდგარი“ ჩემ ირგვლივ და ვინ - არა. რაც შეეხება სამაგალითო ადამიანს, პიროვნებას, უდავოა, რომ მაგალითს ჩემი ოჯახის წევრებისგან ვიღებ***

დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე – ბათუმში

მართა იბერიელი 27 48 93

ბათუმში „დევნილ მოზარდთა სამოქალაქო ჩართულობის სივრცე“ გაიხსნა. პროექტი იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის პროგრამის „სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერისა და რეგიონებში დევნილ მოზარდთა ხელშეწყობის“ ფარგლებში ხორციელდება

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრი ნანა გაბელია ესწრებოდნენ.

პროექტის ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილი 14-17 წლის სამოცამდე მოზარდი, ორი თვის განმავლობაში, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებით და გასართობ აქტივობაში ჩაერთვება.

ახალგაზრდები მიიღებენ ცოდნას და გამოცდილებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა გუნდური მუშაობა, ტოლერანტობა, მიმღებლობა, მულტიკულტურალიზმი და ეფექტური კომუნიკაციის უნარები.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“ მოსახლეობას აფრთხილებს: „ბოლო დროს გახშირდა კიბერთაღლითობის შემთხვევები ახალი სქემით: მომხმარებლებს სხვადასხვა ბანკის სახელით ეგზავნებათ სმს შეტყობინება ან წერილი ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც სთავაზობს მათ თითქოსდა სხვადასხვა გათამაშებაში ჩართვას.

მომხმარებელი გადადის ყალბ ბმულზე, შეჰყავს პირადი ინფორმაცია და ეხვევა მახეში, რადგან ბარათის მონაცემების გაზიარებისას კიბერთაღლითი მონაცემებს იპარავს. ამის შემდეგ ის მოპარული ბარათის მონაცემებს ამატებს Apple/Google Pay wallet-ში, რა დროსაც მომხმარებელს ეგზავნება სმს კოდი ოპერაციის დადასტურებისთვის. სამწუხაროდ, მომხმარებელი ამ კოდსაც აზიარებს, კიბერდამნაშავე კი ვოლეტში დამატებული ბარათით ახორციელებს გადახდებს პოს ტერმინალზე ან ელექტრონულ კომერციაში, ვებ-გვერდზე გადახდით.

აი, რა რჩევები უნდა გაითვალისწინოთ ასეთ დროს:

არ გადახვიდეთ საეჭვო ბმულზე!;

დააკვირდით ბმულს! როგორც წესი, ოფიციალური აპლიკაციის/ვებ-გვერდის სიმბოლოებში განსხვავებაა;

თავად აკრიფეთ მისამართი და დააკვირდით ბოქლომს (უნდა იყოს დახურულ მდგომარეობაში);

არასდროს არავის გაუზიაროთ პირადი საბანკო მონაცემები და ერთჯერადი კოდი“, - აღნიშნულია „საზოგადოება და ბანკების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

მიზანი - წინაპართა მემკვიდრეობის გადარჩენა

ჩვენი სტუმარია საქველმოქმედო ფონდ «წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად» დამფუძნებელი და თავმჯდომარე ***ნიაზ გოლქვაძე.***

- ბატონო ნიაზ, რა მიზანს ისახავს ფონდი, რომელსაც ხელმძღვანელობთ?

- მიზანს სახელწოდებაც კარგად მიანიშნებს. უკვე დიდი სიფხიზლე გვმართებს, რომ წინაპართა კულტურული მემკვიდრეობა გადავარჩინოთ. ეს პრობლემა დიდი ხანია მაწუხებს და არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი კიდეც გადავწყვიტეთ. 2017 წლიდან განადგურების პირას მყოფი უნიკალური ძეგლების, უძველესი კოლხური რკინის სადნობი ქურა-სახელოსნოების ბედით დავინტერესდით. ფონდს სახელი გუნდური პრინციპით შევურჩიეთ. მის შემადგენლობაში აჭარაში მომუშავე მეცნიერები, სხვა დარგის სპეციალისტები შევიდნენ. ისინი აქტიურად გვეხმარებიან ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაში, დაცვასა და პოპულარიზაციაში. მათი გვარები, საქმიანობა უკვე სპეციალურად გამოცემულ წიგნშია შეტანილი. ქვეყნის, რეგიონის ხელისუფლების ენებზე. საჯარო განხილვები გაიმართა ბათუმში, დმანისში, ორჯერ - თბილისში, მწერალთა სახლში, წელს, მაისში კი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 35-მა ცნობილმა ადამიანმა დადებითად შეაფასა ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტი «საქართველო - რკინის სამშობლო». მათ საქმის კურსში ჩააყენეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი თეა წულუკიანი და სთხოვეს, რომ საქართველო წარადგინოს იუნესკოში რკინის სამშობლოს სტატუსის მოსაპოვებლად. უკვე დაწყებულია მუშაობა შესაბამის დოკუმენტზე. იკვეთება ახალი დეტალები საქართველოში არგონავტების შემოსვლასთან, მეფე აიეტის სატახტო ქალაქთან დაკავშირებით. დავიწყეთ მუშაობა სამუზეუმო ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. ამისთვის 3000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხელისუფლებამ უსასყიდლოდ გადმოგვცა.

- საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰქონდა პროექტს «საქართველო - რკინის სამშობლო», რომლის წარდგენა ბათუმში გაიმართა.



- ეს პროექტი დიდი მნიშვნელობისაა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის შუა ხანებში ადამიანებმა რკინის მიღების საიდუმლოს მიაგნეს, რამაც კაცობრიობის ცივილიზაციაში გარდატეხა მოახდინა. ყველაზე მეტად ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ რკინის მიღება პირველად ჩვენმა წინაპრებმა კოლხეთში შეძლეს, რასაც წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები ადასტურებს.

- ყოველ სიახლეს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდებიან ხოლმე...

- არ ვფიქრობ, რომ ეს კითხვა პროვოკაციულია. ეს გარკვეულ გამოცდილებასაც ეყრდნობა და გულისტკივილსაც. ამ უმნიშვნელოვანეს პროექტს მოჰყვა შური, თუნდაც ხელის შეშლა, რაც ჯერაც არ დამთავრებულა. მთავარი წინააღმდეგობები დაძლეულია. ქვეყნის დედაქალაქში მომუშავე წარმატებულმა მეცნიერებმა, აჭარის მთავრობამ, თუნდაც ქალბატონმა თეა წულუკიანმა წამოწყება დადებითად, სათანადო რეცენზიებით შეგვიფასეს. 15-20 წლის წინ, როცა ამ პროექტზე მუშაობას ვიწყებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდნენ, საქმისთვის ხელი შეეშალათ. მათ დასახელებას არ შევუდგები. სწორედ ასეთი ადამიანების არსებობამ შთამაგონა დამეწერა წიგნი «აზროვნების ეკოლოგია», რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. გუნდთან ერთად მრავალი წინააღმდეგობა დავძლიე, თანაც, უმტკივნეულოდ. ხელის შემშლელი ფაქტორები რომ არა, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებდით და იუნესკოდანაც სასურველ პასუხს მივიღებდით.

- ქვეყნის წამყვანი მეცნიერების, სამეცნიერო დაწესებულების თანადგომაზე რას გვეტყვით?

- ასეთი ნაშრომები როცა იქმნება, მისი შემდგომი წარმატება მეცნიერ-სპეციალისტების შეფასებებზეა დამოკიდებული. მისასალმებელია, რომ ჩვენს ნაშრომს გამოცემისთანავე დადებითი შეფასებები მოჰყვა არქეოლოგიის, მეტალურგიის, ქიმიის, გეოლოგიის და სხვა დარგების სპეციალისტებისგან, რომლებიც რკინის მეტალურგიას და ისტორიას იკვლევენ. ნაშრომმა მხარდაჭერა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის არქეოლოგიისა და მეტალურგიის ისეთი მეცნიერების მისამართით, როგორებიც არიან გუგივი ინანიშვილი, იულონ გაგოშიძე, დავით მაისურაძე, ზვიად კვიციანი და შუქი თავართქილაძე. ამაგს ვერ დავუკარგავ ბათუმში მომუშავე მეცნიერ ჯემალ მიქელაძეს, რომელიც 6 წელია თანადგომას არ მაკლებს. ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროექტი «საქართველო - რკინის სამშობლო» რომ წარვადგინეთ, ცნობილმა მეცნიერებმა, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლებმა ქალბატონ თეა წულუკიანისადმი წარდგენილ წერილში აღნიშნეს: «ჩვენ ვამაყობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და ყოველი ჩვენგანის ოცნებას ფრთები ესხმება». მგონი, ამ ერთ წინადადებაში ყველაფერია ნათქვამი.

- უმაღლესი განათლება უცხოეთში მიიღეთ. თქვენი შეხედულება რუსეთ-უკრაინის ომზე...

- სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, საზოგადოებასა თუ სოციალურ ქსელებში რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებული მოვლენების ცივი გონებით განსჯა არ ხდება, შეფასებები ხდება რუსეთისა და ნატოს ბლოკის მიმართ ზიზღით. ასეთი მიდგომა არ შეიძლება იყოს ობიექტური, სამართლიანი. მე ვერ ვხედავ ისეთ გარემოს, სადაც ცივი გონებით საუბრობენ რუსეთ-უკრაინის ომზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, პროგნოზებზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ ომს ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიმე მხარის გამარჯვებით. ფაქტია, სირიაში აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების შემდეგ უკრაინის მოვლენები გარდაუვალი იქნებოდა, რაზედაც ბევრადაა დამოკიდებული მოლდოვისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი. დაპირისპირება, სინამდვილეში, რუსეთსა და ნატოს სამხედრო ბლოკს შორისაა, რუსეთ-უკრაინის ომის გამომწვევ მიზეზებს, ვფიქრობ, კარგად ახსნის ეროვნული იდეოლოგიის საკითხზე მსჯელობა.

- მამულიშვილთა კავშირის, ფონდის დაარსების დღიდან რა გააკეთეთ იმ პიროვნებების წარმოსაჩენად, რომლებიც საზოგადოებას თითქმის დავიწყებული ჰყავდა?

- ჯერ კიდევ ბაშკირეთში, ქალაქ უფაში, ასპირანტურაში სწავლისას 2005 წელს, გამოვიდა ჩემი წიგნი «ვალი - წინაპართა ნაკვალევზე». მასში საუბარია უცხოეთის ქვეყნებში ქართული კულტურის ცენტრების დაფუძნებასა და იქ მოღვაწე ქართველების შესახებ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 2006 წლიდან 2018 წლამდე, აჭარის მამულიშვილთა კავშირის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ვიყავი. თეორიულ და სამეცნიერო ღონისძიებებთან ერთად, ბევრი გავაკეთეთ ღირსეული მამულიშვილების ღვაწლის წარმოსაჩენად. 2011 წელს დაბადებიდან 170 წლის იუბილე გადავუხადე გულოაღა კაიკაციშვილს. ქედაში პატივი მივაგეთ ყედირ შერვაშიძეს. სამზეოზე გამოვიტანეთ ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი პერსონების ბიოგრაფიები, რომელთა შესახებ საზოგადოებას არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. მათ შორის იყო აჭარაში 1929 წლის აჯანყების ხელმძღვანელი ალისულთან ბოლქვაძე. ამ პიროვნებაზე, საერთოდ, 1929 წლის აჯანყებაზე, ფილმს იღებს მწერალი ვახტანგ გოგრაჭაძე.

- თუ საიდუმლო არაა, რა წიგნზე მუშაობთ?

- უკვე დავასრულე «აზროვნების ეკოლოგია - კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება» მეორე წიგნი. გამოსაცემად მზად მაქვს კიდევ სამი წიგნი. მთელი ყურადღება მაინც «აზროვნების ეკოლოგიაზე» და «საქართველო - რკინის სამშობლოზე» მაქვს გადატანილი.

- რამდენად მისაღებია თქვენთვის ზოგიერთთა მცდელობა, პოლიტიკური მიზნებისთვის სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირონ?

- რელიგიურ თემაზე დაპირისპირება არახალია. სამწუხაროდ, ახლაც ცდილობენ, საქართველოში მცხოვრები ქრისტიანი და მუსლიმი ძმები ერთმანეთს დაუპირისპირონ. მრავალი წელი შევალია რელიგიების კვლევას, წიგნიც გამოვეცი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ვხვდებოდი სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს, მრევლს, ცხარე დებატებიც გვქონია. ლოგიკური კითხვების დასმით საფუძვლიან პასუხებს ვიღებდი, რაც მთავარია, თანამოსაუბრე გრძნობდა, რომ მის აღმსარებლობას და პიროვნებას პატივს ვცემდი.

- რას გააკეთებთ, პროექტი «საქართველო - რკინის სამშობლო» მსოფლიომ რომ გაიცნოს?

- ნაშრომების სხვადასხვა ენაზე თარგმნის გარდა, ინტერნეტსივრცეში ციფრულმა ბიბლიოთეკამ «ივერიელი» მასალები განათავსა. გვაქვს გამოხმაურებები ისრაელიდან, იტალიიდან. დაინტერესებული მეცნიერები და ცალკეული პიროვნებები პირადად მიკავშირდებიან. ბევრია დამოკიდებული რეგიონისა და ქვეყნის კულტურის სამინისტროებზე. მზად ვართ, ყველაფერი ფაქტებით დავადასტუროთ. დაწყებულია მუშაობა სამუზეუმო ტერიტორიის მოწესრიგებაზე. მსოფლიო ატლასში საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოდაა მოხსენიებული. საქართველო უნდა იყოს რკინის, ვაზისა და ღვინის სამშობლო.

„ ხუთი წლის განმავლობაში ჩაქვისწყლის, ჩოლოქი-ოჩხამურის ტერიტორიაზე და ჭოროხის ხეობაში, ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომით, სამი უძველესი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნო გადავარჩინეთ და სამზეოზე გამოვიტანეთ. აღმოჩენას მაშინ აქვს ფასი, როცა იგი შენს ქვეყანას სარგებელს მოუტანს. დასახელებულ ტერიტორიებზე დავდგით საინფორმაციო დაფები და გამაფრთხილებელი ნიშნები

რამ ქაშაკაშვილი, ჯუმბერ კოპალიანი,

ისლამის მიმდევრებს ყურბან ბაირამი მიულოცეს

ისლამის ასეულობით მიმდევარი ზაფხულს აჭარა-შავშეთის ქედის კალთაზე, მთა ჩირუხში ატარებს. აქ რამდენიმე წელია, სეზონური მეჩეთი მოქმედებს

მთაში ლოცვის დაწყებამდე მივიდნენ და მრევლს დიდი დღესასწაული მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ ვლადიმერის ძე ფუტკარაძემ.

- სიტყვა „ყურბანი“ დაახლოებას ნიშნავს. ღვთისმსახურებისთვის, ფიზიკური ნაკლის არმქონე ცხოველს, კონკრეტული პირობებისა და წესების დაცვით, ყურბან ბაირამის დღეებში მსხვერპლად წირავენ. ყურბნის შეწირვა ჰიჯრით (მუსლიმური კალენდარი) მეორე წელს დადგინდა სავალდებულოდ. ყურანში მოცემულია ცნობები ყურბანის ისტორიის შესახებ. ცნობილია აგრეთვე, რომ მსხვერპლშეწირვა, როგორც ღვთისმსახურება, ისლამამდელ რელიგიებშიც არსებობდა, - თქვა მეჩეთში სალოცავად მოსული მრევლისადმი მიმართვისას შუახევის მუფთმა ასლან შარაშიძემ.

შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებმა მირიან აბაშიძემ, გურამ ზოიძემ, გიორგი კეკელიძემ ნიგაზეულის, ფურტიოს, ჭვანის, ნენიის მეჩეთებში მრევლს ბაირამი მიულოცეს.

ყურბან ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე სოფელ ღორჯომისა და დაბა ხულოს ცენტრალურ მეჩეთებში იმყოფებოდა. იქ შეკრებილ მლოცველებს დღესასწაული მიულოცა და ლოცვას დაესწრო. მერის მოადგილე თამაზ აბაშიძემ სოფელ ოქრუაშვილების მორწმუნეებს მიულოცა ეს დღესასწაული.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

საქმე №01-10/176

დადგენილება

საარბიტრაჟო საქმეზე №01-10/170, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 26 ივნისი, 2023 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. 445384959) თავმჯდომარე როსტომ გუნთაიშვილმა, მოდავე მხარეთა შორის 2022 წლის 28 ივლისს „სესხის ხელშეკრულება HEAD.0011322.002“ (მუხლი 4.4) საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/176, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩლე: შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ (ს.ნ. 445516102) (დირექტორი მამუკა მიქელაძე), **წარმომადგენელი:** ადვოკატი არჩილ ჯორთმენაძე (პ/ნ 61006015254), თანახმად მინდობილობისა გაცემული ერთი წლის ვადით, 2023 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

საარბიტრაჟო მოპასუხე: მოვალე, მსესხებელი: შპს „შორენას ტკბილეულობა“ (ს/ნ 445595179), დირექტორი, იგივე სოლიდარულად ვალდებული პირი: შორენა ჭაღალიძე (61001075514);

სოლიდარულად ვალდებული პირი: ფ/პ ზელიხა ჭაღალიძე (პ/ნ 61002019166).

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებელის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

გამოვარკვიე:

2023 წლის 24 აპრილს შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ (ს.ნ. 445516102) (დირექტორი მამუკა მიქელაძე) წარმომადგენელმა, ადვოკატმა არჩილ ჯორთმენაძემ (პ/ნ 61006015254), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხეების: მსესხებლის შპს „შორენას ტკბილეულობას“ (ს/ნ 445595179) (დირექტორი შორენა ჭაღალიძე (პ/ნ 61001075514) და სოლიდარული მოვალეს: ფ/პ ზელიხა ჭაღალიძეს (პ/ნ 61002019166) მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2023 წლის 24 აპრილს **შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“** არბიტრმა როსტომ გუნთაიშვილმა მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“. მოპასუხეებს გაეგზავნათ დაზღვეული საფოსტო გზავნილით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი შესაგებელის წარმოდგენის ვადის და საარბიტრაჟო დავის განხილვის მოსამზადებელი სხდომის დროის და ადგილის მითითებით, რაც არ ჩაბარდათ მოპასუხეებს;

2. 2023 წლის 22 მაისს საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა არბიტრაჟს მომართა შუამდგომლობით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება **„საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხეზე ჩასაბარებლად მოპასუხთა საჯაროდ მოწვევის შესახებ“,** რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ. არბიტრაჟის დადგენილება საჯაროდ გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ (№56, 1-2 ივნისი, 2023 წ.). საარბიტრაჟო მოპასუხე სათანადო დოკუმენტების მისაღებად არბიტრაჟში არ გამოცხადდა. აბიტრაჟისათვის უცნობია მოპასუხეთა არბიტრაჟში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი;

3. 2023 წლის 26 ივნისს საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა არჩილ ჯორთმენაძემ არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება საარბიტრაჟო საქმეზე №01-10/176, **„საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის ზეპირი მოსმენის სხდომაზე მოპასუხეთა საჯაროდ მოწვევის შესახებ“,** რაც დაკმაყოფილდა.

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8, მე-16, 27-ე, 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით,**

დავადგინე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/176, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხეების: მსესხებლის შპს „შორენას ტკბილეულობა“ (ს/ნ 445595179), (დირექტორი შორენა ჭაღალიძე (პ/ნ 61001075514) და სოლიდარული მოვალე: ფ/პ ზელიხა ჭაღალიძე (პ/ნ 61002019166) საჯაროდ მოწვეული იქნეს არბიტრაჟში, საქმის არსებითი განხილვის სხომაზე დასასწრებად, რომელიც გაიმართება 2023 წლის 12 ივლისს, 12:30 საათზე, ქ. ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული. საკ. ტელ: 577 78 19 77;

2. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩლე მხარის ხარჯით;

3. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან
არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის არბიტრი
როსტომ გუნთაიშვილი

საქმე №01-10/177

დადგენილება

საარბიტრაჟო საქმეზე №01-10/177, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ

ქ. ბათუმი 26 ივნისი, 2023 წელი

შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“ (ს.კ. 445384959) თავმჯდომარე როსტომ გუნთაიშვილმა. მოდავე მხარეთა შორის 2022 წლის 31 აგვისტოს „სესხის ხელშეკრულება №HEAD.0011044.006" (მუხლი 4.4) საარბიტრაჟო დათქმის საფუძველზე, ერთპიროვნულად განვიხილე კერძოსამართლებრივი ხასიათის ქონებრივ დავაზე **„საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/177, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხეს საჯაროდ მოწვევის შესახებ“** დადგენილების მიღების საკითხი.

საარბიტრაჟო მოსარჩლე: შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ (ს.ნ. 445516102) (დირექტორი მამუკა მიქელაძე) **წარმომადგენელი:** ადვოკატი არჩილ ჯორთმენაძე (პ/ნ 61006015254), თანახმად მინდობილობისა გაცემული ერთი წლის ვადით, 2023 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

საარბიტრაჟო მოპასუხე: შპს „ანა-მარია“, ს/ნ 445595160, დირექტორი, იგივე სოლიდარულად ვალდებული პირი: ნატო ჯინჭარაძე (61006062756).

საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

გამოვარკვიე:

2023 წლის 24 აპრილს შპს „სესხის გამცემი სუბიექტი უნივერსალის“ (ს.ნ. 445516102) (დირექტორი მამუკა მიქელაძე) წარმომადგენელმა, ადვოკატმა არჩილ ჯორთმენაძემ (პ/ნ 61006015254), შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟში“ შემოიტანა საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხეების: მსესხებლის შპს „ანა-მარია“, ს/ნ 445595160, დირექტორი. იგივე სოლიდარულად ვალდებული პირი: ნატო ჟინჭარაძე (61006062756) მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების და ასევე საარბიტრაჟო მოსაკრებელის მოპასუხეებზე სოლიდარულად გადახდის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2023 წლის 24 აპრილს შპს **„აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის“** არბიტრმა როსტომ გუნთაიშვილმა მიიღო დადგენილება „საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღების და არბიტრაჟის კომპეტენციის ცნობის შესახებ“, რომელიც გაეგზავნა მოპასუხეს დაზღვეული საფოსტო გზავნილით და ჩაბარდა მოპასუხის ძმას დავით ჯინჭარაძეს მოპასუხეზე გადასაცემად. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი შესაგებელის წარმოდგენის ვადის და საარბიტრაჟო დავის განხილვის მოსამზადებელი სხდომის დროის და ადგილის მითითებით;

2. 2023 წლის 26 ივნისს საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმომადგენელმა არჩილ ჯორთმენაძემ არბიტრაჟს მომართა განცხადებით, არბიტრაჟს მიეღო დადგენილება **საარბიტრაჟო საქმეზე 01-10/177, საარბიტრაჟო დავის არსებითად განხილვის სხდომაზე მოპასუხის საჯაროდ მოწვევის შესახებ, რაც დაკმაყოფილდა არბიტრაჟის მიერ;**

ვიხელმძღვანელე რა **„არბიტრაჟის შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-8; მე-16; 27-ე; 32-ე მუხლებით** და მუდმივმოქმედი **„არბიტრაჟის დებულების“ მე-13 მუხლის 1 და 6 პუნქტებით,**

დავადგინე:

1. სამოქალაქო საქმეზე, №01-10/177, საარბიტრაჟო სარჩელის მოპასუხე, შპს „ანა-მარიას“, ს/ნ 445595160, დირექტორი, იგივე სოლიდარულად ვალდებული პირი: ნატო ჯინჭარაძე (61006062756) საჯაროდ მოწვეული იქნეს არბიტრაჟში, საქმის არსებით განხილვის სხომაზე დასასწრებად, 2023 წლის 12 ივლისს, 12:00 საათზე, ქ. ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქ. №26, მე-3 სართული. საკ. ტელ: 577 78 19 77;

2. საჯარო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „აჭარაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით;

3. არბიტრაჟის დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შპს „აჭარის ა რ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან
არსებული საერთაშორისო არბიტრაჟის არბიტრი
როსტომ გუნთაიშვილი

უკრაინა

რუსეთის მიერ კრამატორსკზე სარაკეტო დარტყმის შედეგად 2 ადამიანი დაღუპა, 22 დაიჭრა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი იგორ კლიმენკო ავრცელებს. „ორი სარაკეტო დარტყმა კრამატორსკზე. რუსეთმა გამიზნულად დაარტყა საზოგადოებრივი შეკრების ადგილებს. დაიღუპა 2 ადამიანი. 22 დაჭრილია, მათ შორის 1 ბავშვი... პოლიციელები და მაშველები ადგილზე მუშაობენ“, - წერს კლიმენკო. არსებული ინფორმაციით, ნანგრევების ქვეშ ჯერ კიდევ შეიძლება ხალხი იმყოფებოდეს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი კრამატორსკზე რუსეთის მიერ განხორციელებულ თავდასხმას „ტერორის გამოვლინებად“ აფასებს. „ტერორის ყოველი ასეთი გამოვლინება არაერთხელ გვიმტკიცებს ჩვენ და მთელ მსოფლიოს, რომ რუსეთი მხოლოდ ერთს იმსახურებს იმ ყველაფრის შედეგად, რაც გააკეთა - დამარცხებასა და ტრიბუნალს, სამართლიან და კანონიერ სასამართლოს ყველა რუსი მკვლელისა და ტერორისტის წინააღმდეგ“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

აშშ უკრაინას 500 მილიონი დოლარის ოდენობის სამხედრო დახმარების პაკეტს გადასცემს. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. პაკეტში შევა: დამატებითი საბრძოლო მასალა Patriot-ი ანტისაჰაერო სისტემებისთვის, Stinger-ის ანტისაჰაერო სისტემები, დამატებითი რაკეტები HIMARS-ის სისტემებისთვის, განაღმვითი აღჭურვილობა, 155 მმ-იანი და 105 მმ-იანი საარტილერიო ჭურვები, Bradley-ს ტიპის 30 ქვეითი საბრძოლო მანქანა, 25 Stryker-ის ჯავშანმანქანა, TOW-ი რაკეტები, Javelin-ის ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები, HARM-ის რაკეტები და ა.შ. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თანახმად, სამხედრო დახმარების აღნიშნული პაკეტი უკრაინას კონტრშეტევით ოპერაციებში დაეხმარება.

* * *

რუსული ძალები შეტევით ოპერაციებს ლიმანის, ბახმუტის, მარინკისა და შახტიორსკის მიმართულებებით ახორციელებენ, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. მძიმე ბრძოლები გრძელდება. დღე-ღამის განმავლობაში 30-ზე მეტი საბრძოლო შეტაკება მოხდა, - აცხადებენ გენშტაბში. უწყების ცნობით, რუსულმა ძალებმა უკრაინის ტერიტორიაზე მორიგი საჰაერო დარტყმა განახორციელეს ირანული Shahed-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით. ამასთან, უწყების ცნობით, რუსულმა ძალებმა, უკრაინის ტერიტორიას საჰაერო ბაზირების X-22 ტიპის 5 ფრთოსანი რაკეტითა და S-300 ტიპის 2 საზენიტო რაკეტით დაარტყეს.„გარდა ამისა, მტერმა 24 საჰაერო დარტყმა განახორციელა და უკრაინის ტერიტორია ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან 42-ჯერ დაბომბა“, - აცხადებენ გენშტაბში. მოწინააღმდეგის ქმედებების საპასუხოდ, უკრაინის თავდაცვის ძალების ავიაციამ 18 დარტყმა მიაყენა რუსული ძალების პერსონალის თავმოყრის ტერიტორიებს, 6 კი საზენიტო-სარაკეტო სისტემას. უკრაინელებმა რუსების კუთვნილი 6 სადაზვერვო დრონიც გაანადგურეს.

* * *

უკრაინა ლიეტუვისგან NASAMS-ის საზენიტო-სარაკეტო სისტემის ორ გამშვებს მიიღებს. ამ გადაწყვეტილების შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა გიტანას ნაუსედამ განაცხადა. „ლიეტუვამ შეიძინა NASAMS-ის ორი გამშვები მოწყობილობა, რომლებიც უკრაინას გადაეცემა. საჰაერო თავდაცვა არის მთავარი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში“, - დაწერა ნაუსედამ თავის Twitter-ზე. უახლოეს მომავალში დანადგარები სრულად იქნება მზად უკრაინის არსებულ დანაყოფებში ინტეგრაციისთვის, რაც შეავსებს და გააფართოვებს ნორვეგიისა და შეერთებული შტატების მიერ გადაცემული NASAMS-ის სისტემების ოპერატიულ შესაძლებლობებს. ლიეტუვის პრეზიდენტი ელის, რომ ივლისში, ვილნიუსის ნატოს სამიტზე, მიიღებენ კოლექტიურ გადაწყვეტილებებს უკრაინის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, ლიეტუვის თავდაცვის მინისტრ არვიდას ანუსაუსკასის თქმით, უკრაინის სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი მოიცავს 10 ჯავშანტრანსპორტიორ M113-ს. ჯამში, ლიეტუვის მიერ უკრაინისთვის გადაცემული ამ ჯავშანტრანსპორტიორების საერთო რაოდენობა 72 ერთეულს მიაღწევს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/06/23, 21 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საქართველოს ნაკრები მეოთხედფინალშია!

გამარჯვების ტოლფასი ფრე

საქართველოს ნაკრებმა 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალურ ეტაპზე ითამაშებს

საქართველოსა და ნიდერლანდების მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდული იყო. თამაშს რეკორდული რაოდენობის მაყურებელი დაესწრო - 43 043, რაც ჩვენი ბიჭების შესანიშნავმა წინა ორმა თამაშმა განაპირობა. ეს იყო მნიშვნელოვანი მატჩი. გაიხარა საქართველომ - ჩვენმა გუნდმა ახალგაზრდულ ჩემპიონატზე სენსაციური შედეგი აჩვენა: თავის ჯგუფში უძლიერეს მეტოქეებთან არც ერთი თამაში არ წაუგია - პორტუგალიას ანგარიშით 2:0 სძლია, შემდეგი შეხვედრები კი ფრედ - 2:2 და 1:1 დაასრულა. ახალგაზრდებმა ქართული ფეხბურთის ახალი ისტორია დაწერეს - „დინამო არენაზე“ რეკორდი დამყარდა - გუნდი ურთულესი ჯგუფიდან მეოთხედფინალში წაუგებლად გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ნაკრებმა მინიმალური ქულით (5 ქულა) შეძლო პირველი ადგილის დასაკუთრება. გუნდი პლეი ოფში გავიდა და ეს ბრწყინვალე შედეგია...

მოწინააღმდეგე გუნდმა თამაში კარგად დაიწყო, განსაკუთრებით, პირველი 10-15 წუთის განმავლობაში ჩვენს საჯარიმოსთან დაძაბული მომენტები შეიქმნა, მაგრამ დაცვა მოწოდების სიმაღლეზე იდგა მინიმალური შეცდომებით... პირველი ტაიმი 1:1 დამთავრდა და ეს ანგარიში აღარ შეცვლილა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სტადიონზე მოსული გულშემატკივრის როლი - ქომაგები მთელი თამაშის განმავლობაში შეძახილებით ამხნევებდნენ საქართველოს ნაკრებს.

როგორც ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: „ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს და ბრძოლას ევროპის ჩემპიონობისთვის კვლავ აგრძელებენ. არავინ ელოდა, ამ ძლიერ მოწინააღმდეგეებს თუ გავასწრებდით და პირველ ადგილს დავიჭერდით“. მან მადლობა გადაუხადა როგორც ფეხბურთელებს, ისე ქომაგებს, აღნიშნა ზურიკო დავითაშვილის შესანიშნავი გოლი.

ზურიკო დავითაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა: „არ ველოდი ასეთ ემოციებს, მაგრამ გვჯეროდა, რომ ასეთ შედეგს დავდებდით. ეს არა მარტო გუნდმა შეძლო, არამედ მაყურებელმა - ქომაგები მთელი თამაში არ გაჩერებულან. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ... უფლის წყალობით, ეს დაგვიფასდა, გავედით

მეოთხედფინალში - დავაფიქსირეთ ისტორიული შედეგი. შევეცდებით, გავაგრძელოთ ეს წარმატება“.

„რთული თამაში გამოვიდა, ვამყობ, რომ ამ გუნდის წევრი ვარ. ამ ბიჭებმა ბევრი გააკეთეს - ჯგუფური ეტაპიდან ისტორიაში პირველად გავედით. ძალიან მინდა, რომ ფინალი ბათუმში ვითამაშოთ“, - აღნიშნა გიორგი მამარდაშვილმა...

პირველი გოლი ჩვენებმა გაიტანეს: ზურიკო დავითაშვილმა, მექვაბიშვილის გადაცემის შემდეგ, ბრწყინვალედ ითამაშა - სოლო „რეიდით“ ხუთი მოთამაშე უკან ჩამოიტოვა და ულამაზესი გოლი აჩუქა გადაჭედილ სტადიონსა და ტელევიზორთან მოკალათებულ ათასობით მაყურებელს. ის დამსახურებულად დასახელდა ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად.

ამ ისტორიულ მატჩში სტადიონზე ვიხილეთ: მამარდაშვილი, გოჩოლეიშვილი, კალანდაძე, გელაშვილი, საზონოვი, ლომინაძე (გაგნიძე - 46), მექვაბიშვილი, დავითაშვილი (მამაგეიშვილი - 90+2), წიტაიშვილი (ხვადაგიანი - 58), აზაროვი, გაგუა (გულიაშვილი - 79). მოწინააღმდეგეებიდან გოლი ტეილორმა გაიტანა დამატებით წუთებზე (45+6).

საქართველოს ნაკრები 1 ივლისს მეოთხედფინალში იმ გუნდს შეხვდება, ვინც C ჯგუფში მეორე ადგილზე გავა, ჯგუფური ეტაპი ჯერ მხოლოდ A და B ჯგუფებშია დასრულებული.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ეროვნულ ნაკრებს ამ ისტორიულ შედეგს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!

სოლომონ ფეიქრიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სოლომონ ფეიქრიშვილის სახელობის ღია რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, რომელიც აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერითა და აჭარის ძიუდოს ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა

ტურნირში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის, მათ შორის, ქალაქების - თბილისის, ქუთაისის, გორის, კასპის, ზესტაფონის... ასევე, სომხეთისა და ლიეტუვას 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

სოლომონ ფეიქრიშვილს უკავშირდება აჭარაში სპორტის ამ სახეობის განვითარება. მისი სახელობის ტურნირი მისივე სიცოცხლეში ხუთჯერ ჩატარდა, გარდაცვალების შემდეგ კი პირველად.

- სოლომონ ფეიქრიშვილმა ძალიან ბევრი სახელოვანი სპორტსმენი, ევროპის, მსოფლიო, ოლიმპიური ჩემპიონები აღზარდა. აჭარაში 2000 წელს ჩამოვიდა და 15 წლის განმავლობაში დიდი საქმე გააკეთა. ამ ტურნირით მისდამი მადლიერებას გამოვხატავთ, - გვითხრა აჭარის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, აჭარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ვახტანგ ზოიძემ.

ტურნირზე აჭარის ნაკრებიდან თავი გამოიჩინეს თენგიზ ჭინკაძემ და საბა ბოლქვაძემ, რომლებმაც მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. ნიკა მგელაძე ბრინჯაოს დასჯერდა, თუმცა შედეგით კმაყოფილი აშკარად არ ჩანდა და „აჭარასთან“ აღნიშნა, რომ ამ დღეებში თურქეთში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირზე და იქ მაღალი შედეგისთვის იბრძოლებს.

სოლომონ ფეიქრიშვილის სახელობითი თასი გორელ ძიუდოისტ გიორგი ბაბუციძეს საუკეთესო გდებისთვის გადასცეს.

აჭარის სპორტის დეპარტამენტის მაღალი მიღწევების სპორტის განყოფილების უფროსმა ზურაბ ჭყონიამ გვითხრა, სამინისტრო გეგმავს, ტურნირი სამომავლოდ უფრო მასშტაბური, ტრადიციული გახდეს და მას დეპარტამენტი ფინანსურად გვერდით დაუდგება.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები ორგანიზატორებმა თასებით, მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

შეჯიბრების მთავარი მსაჯის გიორგი ზერგიანის თქმით, ტურნირი, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული, ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის კიდევ უფრო პოპულარიზებას არა მხოლოდ აჭარაში, არამედ, მთლიანად, საქართველოში. ამჟამინდელ ტურნირში ძლიერი სპორტსმენები მონაწილეობდნენ და შეჯიბრება თავისი მასშტაბებით, საქართველოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდებოდა.

აჩიკო ბოლქვაძე ევროპის ჩემპიონია

ბათუმელი სპორტსმენი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე აჩიკო ბოლქვაძე 87 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა

აჩიკო მანამდე ჭაბუკებს შორის საერთაშორისო ტურნირის (სალაძის თასის) გამარჯვებულია, ასევე საერთაშორისო ტურნირზე ჭაბუკებს შორის მოპოვებული აქვს ბედინაძის სახელობის თასი. საქართველოს ნაკრების წევრმა ფინალში სომეხი სპორტსმენი ნაზარიანი დაამარცხა და კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მოჭიდავე ფინალამდე ისე მივიდა, რომ მოწინააღმდეგეებს ერთი ქულაც კი არ მოაგებინა, თავად კი 26 ქულის აღება შეძლო.

მისი პირადი მწვრთნელია მინდია შავაძე, თუმცა როგორც სპორტსმენი ამბობს, მის დაოსტატებაში დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, აწ გარდაცვლილმა ლევან შავაძემ.

სპორტსმენმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს, აჭარისა და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციებს ამ

წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის.

ვულოცავთ აჩიკოს ევროპის ჩემპიონის ტიტულს და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ მას.

ზურაბ კინწურაშვილის გამარჯვება

კრაკოვში გრძელდება ევროპული თამაშები, რომელზეც შესანიშნავად იასპარეზა ბათუმელმა სპორტსმენმა ზურაბ კინწურაშვილმა. მან ტაეკვონდოში (74 კილოგრამი წონითი კატეგორია) ფინალში მოუგო ნეჯად ჰუჩიშს (ბოსნია ჰერცოგოვინა). ამ გამარჯვებით ოქროს მედალი და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა

აღსანიშნავია, რომ მას ბავშვობიდან ავარჯიშებდა მწვრთნელი აკაკი ცენტერაძე, რომელიც ამჟამად ამერიკაში მოღვაწეობს. აი, რას წერს ის სოციალურ ქსელში: „ჩემს მოსწავლეს, ზურაბ კინწურაშვილს, მინდა მივულოცო ეს გამარჯვება. ჩვენ დიდი და რთული გზა გამოვიარეთ ერთად იმისთვის, რომ ეს შედეგი დამდგარიყო და ეს შევძელით. ვამაყობ შენით. ოქროს ბიჭუნავ, წინ ბევრი გამარჯვება გველოდება, გილოცავ შენ და საქართველის ნაკრების მთავარ მწვრთნელს“.

მანამდე ევროპულ თამაშებზე (ჯერჯერობით) ოქროს მედალი მოიპოვა სანდრო ბაზაძემ (ფარიკაობა), ვერცხლი - ზაზა ნადირაძემ (კანოე), ბრინჯაო - გოგიტა არქანიამ (კარატე).

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა